



საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

**Brot
für die Welt**

Bread for the World –
Protestant
Development Service

საიამ საგრანტო კონკურსში გამარჯვებულები გამოავლინა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ(საია) პროექტის მონეველადი პირების და თემების სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვა და ხელშეწყობა საქართველოში ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტები გამოავლინა. აღნიშნული პროექტების დონორია გერმანული ფონდი „პური მსოფლიოსათვის(BFDW)“.

კონკურსში გამარჯვებული პროექტები მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვას საქართველოში, ადგილობრივ დონეზე შემოსავლის მომტანი აქტივობების ხელშეწყობას და განვითარებაზე ორიენტირებული მიდგომების დანერგვას სიღარიბით გამონეველი ადამიანის უფლებათა დარღვევების შესამცირებლად.

საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტებია:

- ა(ა)იპ ჟურნალისტთა სახლის მუნიციპალიტეტების სოფლების მახალაკური, ჩანჩხალო და ბზუბზუს მოსახლეობის

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება ამოცანაა მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით და შესაბამისი მუნიციპალიტეტების მერიების მხარდაჭერით ქედის სოფელ ბზუბზუში და ხულოს სოფელ მახალაკურში მცხოვრები ოჯახების სასმელი/სარწყავი წყლით უზრუნველყოფა. ამ სოფლებში მცხოვრებთათვის დღემდე წყლის მიღების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს რამდენიმე კილომეტრის დაშორებით მდებარე წყარო. პროექტით ასევე დაგეგმილია შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩანჩხალოში გარე განათების 20 ბოძის დამონტაჟება, რის შედეგადაც განათდება შიდა სასოფლო გზის 3 კილომეტრიანი გზის სახიფათო მონაკვეთები. აღნიშნული პროექტების განხორციელების შედეგად პირდაპირ სარგებელს მიიღებს მახალაკურში, ბზუბზუსა და ჩანჩხალოში მცხოვრები 535 მოქალაქე და გაიზრდება ეკოტურისტულად მიმზიდველი სამივე სოფლის შესაძლებლობები.

- ა(ა)იპ კავშირის პროექტი მუნიციპალიტეტის სოფელ სვერის საბავშვო ბაღის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია აღნიშნულ ბაღში სკოლამდელ განათლებას იღებს სვერსა და ცხრუკვეთში მცხოვრები ბავშვები. მთლიანობაში ორივე სოფელში 605 ოჯახი ცხოვრობს. პროექტის განხორციელების შედეგად ბაღის აღსაზრდელები სასმელად ვარგის, უსაფრთხო წყალს მიიღებენ.

- ა(ა)იპ აქტივობების ცენტრის პროექტი დაცლის პირას მყოფ სოფლებში ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა პროექტის მიზანს წარმოადგენს ხევსურეთში, დაცლის პირას მყოფ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა ეკოტურიზმის განვითარების გზით, რეგიონის ტურისტული პოტენციალის გაძლიერება და ადგილობრივ თემში შემოსავლის მომტანი აქტივობების მხარდაჭერა. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სამი ახალი ეკოტურისტული მარშრუტის შექმნა, მისი დატანა საქართველოს ტურისტული მარშრუტების ელექტრონულ რუკაზე, ადგილობრივი გამყოლების გადამზადება და მათი გაძლიერება სათანადო უნარებით, ახალი ტურისტული ბილიკების მონიშვნა და მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა. ხევსურეთის ნაკლებად ცნობილი ტურისტული პოტენციალის განვითარებით მოხდება დამატებითი ტურისტული პროდუქტის განვითარება რეგიონში, რის შედეგადაც დაცლის პირას მყოფი 15 სოფლის მაცხოვრებელი ადგილზევე მიიღებს შემოსავალს და ამავე სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის გაჩნდება განვითარების პერსპექტივა. პროექტის განხორციელება დაგეგმილია ფშავ-ხევსურეთის სათემო ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით.

საია კვლავაც გააგრძელებს ადგილობრივ დონეზე განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების მხარდაჭერას, რომ მოსახლეობის მონაწილეობით და ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობით უზრუნველყოს ადგილობრივი თემების

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



შესაძლებლობების გაძლიერება და მათი საჭიროებების გათვალისწინება.